

უძრავი ქონების გამიჯვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიმიჯნოს, ქალაქ ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ლეონიძის ქუჩა N4ა-ში მდებარე უძრავი ქონება /ამონაწერი N03.06.03.395/ თანდართული გამიჯვნითი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მიხედვით და გამიჯნული უძრავი ქონება ცალ-ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირდეს შემდეგი ფართობებით:

- მიწის ნაკვეთი - ლეონიძის ქუჩა N4ა (ნაკ.№1), ფართობით 62.0 კვ.მ;
- მიწის ნაკვეთი - ლეონიძის ქუჩა N4ა (ნაკ.№2), ფართობით 70.0 კვ.მ;
- მიწის ნაკვეთი - ლეონიძის ქუჩა N4ა (ნაკ.№3), ფართობით 38.0 კვ.მ;

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ. შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია